შირაქი

დედოფლისწყარო

ყოველკვირეული გამოცემა
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47-48 (10.153)
21—28 დეკემბერი, 2024 წელი
ფასი: 60 თეთრი

ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

17 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. მთავარი ფინანსური დოკუმენტის განხილვას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუჯეტის ყველა პუნქტი განიხილა, რის შემდეგაც დაინტერესებული პირები კითხვებზე პასუხს შესაბამისი სამსახურებისგან იღებდნენ.

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის დროს საბავშვო ბაღების დაფინანსება 400 000-იც კი არ იყო, ამ პროექტში ჩანს, რომ მომავალ წელს დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება 4 მილიონი ლარი იქნება, ესაა გაათმაგებული ზრდა, რაც ათჯერ უკეთეს პირობებს ნიშნავს. მათ შორის ხელფასების მატების, ინფრასტრუქტურისა და ბავშვთა კვების მიმართულებით. წელს საბავშვო ბაღების დაფინანსება 3 072 000 ლარი იყო, მომავალ წელს კი 4 მილიონი იქნება, ეს საკმაოდ სოლიდური ზრდაა. ბიუჯეტის შემოსულობები იყო 11 მილიონი ლარი, 2025 წელს კი იქნება 19 მილიონ ლარზე მეტი, ესაა მნიშვნელოვანი ზრდა," — განაცხადა ნუგზარ პაპიაშვილმა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კი ის მიზეზები განმარტა, რამ გამოიწვია შემოსულობების ზრდა 7 მილიონით:

„მუნიციპალიტეტები ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტში იღებენ დღგ-ს გარკვეულ პროცენტს, დადგენილი ფორმულის მიხედვით. სწორედ აქედანაა მომავალი წლისთვის ზრდა 7 მილიონზე მეტი ლარით. როცა ოპოზიცია ამბობს, რომ სადაა და რაში გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, რატომ არ ჩანს ის. აი, ასეთ ციფრებში აისახება ქვეყნის განვითარება და ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მუნიციპალიტეტებში წამოსული თანხაც პროპორციულად იზრდება.

შემოსულობები იზრდება, მაგრამ სხვადასხვა კუთხით იზრდება ხარჯებიც. ბოლო ხანს ჩვენს მუნიციპალიტეტში მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტები მრავლად გაიხსნა, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ამას მოვლა-პატრონობის შესაბამისი ხარჯებიც მოსდევს. მომავალი წლისთვისაც ბევრი ისეთი ხარჯის გაწევა მოგვიწევს, რომელიც აქამდე არ ყოფილა. მხოლოდ არხილოსკალოში ახლახან გახსნილი ლაშა ბექაურის სპორტული კომპლექსი რომ ავიღოთ, ეს შენობა მუნიციპალიტეტს გადმოეცა და მისი ხარჯებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. ზამთარში გათბობის, ზაფხულში გაგრილების სისტემის ხარჯი იქნება გასაწევი, რომელიც ჯერ დათვლილი არ არის, რადგან ახალი გახსნილია და არ გვაქვს მონაცემები - თვეში რამდენი იქნება მოხმარება. გაზრდილია სპორტსმენთა რაოდენობა, ამის გამო მწვრთნელების დამატება მოხდა. გვაქვს მოლოდინი, რომ მთავრობა სამ ახალ ავტობუსს გამოგვიყოფს, რის შემდეგაც შესაძლებლობა გვექნება მუნიციპალური ტრანსპორტი დედოფლისწყაროს სოფლებშიც ამოქმედდეს. ვეცდებით, ავტობუსის რეისები ისე დაიგეგმოს, სპორტსმენებსაც შეეძლოთ ვარჯიშზე წასვლა-წამოსვლა. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ინდივიდუალურ მიკროავტობუსზე ვიფიქრებთ. სპორტის სამინისტრო დაგვპირდა, რომ ამ შესანიშნავ დარბაზს ხელშეწყობა ექნება და ამ სოფლისა და კომპლექსის პოპულარიზაციისთვის ცალკეული რესპუბლიკური ტურნირები სწორედ არხილოსკალოში ჩატარდება. სხვადასხვა რეგიონის ფალავნები პირველობისთვის არხილოსკალოში იბრძოლებენ," — აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„დეკემბრიდან უკვე დაემატა 6 მწვრთნელის შტატი, მათი ხელფასი 300-დან 500 ლარამდეა. თუ მანამდე ჯამში 50 მოსწავლე გვყავდა, ამჟამად ჩვენთან 130 სპორტსმენია. მსურველები კიდევ არიან, უბრალოდ, მეზობელი სოფლებიდან ტრანსპორტირების საკითხია მოსაგვარებელი. მათ შორის შევქმენით გოგონათა ჯგუფი, მოსწავლეები ივლიან ისეთი სოფლებიდანაც, საიდანაც აქამდე ამის შესაძლებლობა არ იყო. ვფიქრობთ მათი ტრანსპორტირების საკითხის გადაჭრასაც ახალი ძალებით დავიწყებთ მუშაობას და წარმატებებიც არ დააყოვნებს," — განაცხადა მწვრთნელმა კახა წიკლაურმა.

მერმა იმ ახალი ხარჯების შესახებ ისაუბრა, რისი გაწევაც ადგილობრივ ბიუჯეტს მომავალი წლიდან მოუწევს.

„შესანიშნავი ცენტრალური პარკი გაიხსნა ქალაქ დედოფლისწყაროში, ამ ყველაფერს შენარჩუნება და მოფრთხილება სჭირდება. მისი მოვლა-პატრონობისთვის ადგილზე დაცვის პოლიციის სამ-სამი თანამშრომელი იმორიგევებს, რათა თავიდან ავიცილოთ ვანდალიზმის ფაქტები. ხორნაბუჯის ციხესთანაც შესანიშნავი ინფრასტრუქტურა მოეწყო, თავშეყრის ადგილად იქცა და იმდენად დატვირთულია, თავისუფალი ადგილების მოძებნა ჭირს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ იქ ძალიან ხშირად ფიქსირდება ვანდალური ფაქტები და ადამიანები აზიანებენ პროექტის ფარგლებში მოწყობილ სივრცეებს. შემდეგ ამაზე ზედამხედველობის სამსახურს უწევს კამერების ჩანაწერების დაშიფვრა და რეაგირება. ამიტომ, იგივე რომ არ განმეორდეს, უნიკალური პარკის შესანარჩუნებლად ვფიქრობთ დაცვის პოლიცია ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება, რომელიც სულ მალე დაიწყებს მუშაობას. თუმცა, მოქალაქეებმაც უნდა გამოიჩინონ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და მოუფრთხილდნენ ჩვენს ქალაქს," — თქვა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„სარეზერვო ფონდის გაზრდას ყოველწლიურად ვითხოვ, მაგრამ როგორც ჩანს, ისევ უცვლელადაა დატოვებული. ბოლო ხანსაც ქარიანი ამინდებია და ბიუჯეტი ხომ მზად უნდა იყოს ასეთი სტიქიებისთვის?" - შენიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რაზეც მერმა უპასუხა, რომ ბოლო წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტიქიით დაზარალებულთათვის წინასწარ განსაზღვრული 50 000 ლარი საკმარისია.

„ამ ეტაპზე ამ თანხას ვაწვდენთ. ყოველწლიურად სახურავების დაზიანების მხოლოდ 4-5 შემთხვევა გვაქვს ხოლმე და საბედნიეროდ, ეს თანხა საკმარისია. სხვა რაიონების მსგავსად მასობრივი დაზიანების შემთხვევები არ გვქონია. ღმერთმა ნუ დაგვაჭიროს მეტი დაფინანსება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა რომ სარეზერვო ფონდის მოცულობა კიდევ გაიზარდოს" — განმარტა ჯანიაშვილმა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას საკრებულო კენჭს 24 დეკემბრის სხდომაზე უყრის.

ილია მარტყოფლიშვილი

სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულთან

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ხელმძღვანელობით მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი, სამუშაო შეხვედრა გაიმართა

სამუშაო შეხვედრაზე შეაჯამეს 2024 წელი და დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და წლის ბოლოს დასრულების ვადები გეგმა - გრაფიკის შესაბამისად;

2025 წელს გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტები;

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში დასაფინანსებელი პრიორიტეტული მიმართულებები;

სოციალური მიმართულებით არსებული საკითხები;

კულტურის მიმართულებით, კონკრეტულად, საახალწლო ღონისძიებების მოსაწყობად არსებული საორგანიზაციო საკითხები.

სამუშაო შეხვედრას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - პლატონ კალმახელიძე, გივი მეტრეველი, ლევან ლილუაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, არჩილ თხლაშიძე ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ახალ 2025 წელს!

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება აქტიურ რეჟიმში ხორციელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯში ვაშლოვანის ქუჩის საავტომობილო გზაზე მიმდინარე საავტომობილო გზის ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები მოინახულა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულების ეტაპზეა და მას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს. პროექტის ღირებულება ღირებულება 239 049 ლარია.

შეხვედრა მერის წარმომადგენლებთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

თათბირზე მერმა წარმომადგენლებთან და მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად სოფლის მცხოვრებელთა პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

აღინიშნა, რომ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები.

ამასთან ერთად, წარმატებით ხორციელდება სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტიც.

ვინ ჩაითვლება ტურისტული საქმიანობის სუბიექტებად, რომელთაც რეესტრში დარეგისტრირება მოუწევთ

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მომავალი წლიდან ტურისტული საქმიანობის სუბიექტებს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დარეგისტრირების ვალდებულება ექნებათ.

აქვე დაზუსტებულია, თუ ვინ ჩაითვლება კანონის მიხედვით ტურისტული საქმიანობის სუბიექტად.

„შეგახსენებთ, რომ „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2025 წლის 1-ელი იანვრიდან ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

გთხოვთ, რეგისტრაციის მიზნით, 2025 წლის 1-ელი იანვრიდან მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

აქვე, ინფორმაციისთვის გიზიარებთ კანონის შესაბამის ჩანაწერს (მე-11 მუხლი):

„1.ტურისტული საქმიანობის სუბიექტები არიან: ტუროპერატორი, ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი), დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, გრძელვადიანი დასვენებისა და დროის განაწილების ხელშეკრულებების მიმწოდებელი, ტურისტული გიდი, საფეხმავლო გამყოლი, რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები, კერძოდ, სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი.

2. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ მონაცემების აღრიცხვისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.“

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ელ.ფოსტაზე: n.fanjakidze@gnta.ge“, - აღნიშნულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ იფნორმაციაში.

შალვა პაპუაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ე.წ. პროფესიული წევრების ასარჩევად კონკურსი გამოაცხადა

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ე.წ. პროფესიული წევრების ასარჩევად კონკურსი გამოაცხადა. მანვე შექმნა საკონკურსო კომისია, რომელიც კანდიდატებს შეარჩევს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს.

ცესკოს პროფესიული წევრებიდან ერთს უფლებამოსილების ვადა მომავალ კვირას გასდის, ხოლო სამ წევრს - თებერვალში. ამიტომ კონკურსის გამოცხადება გახდა საჭირო, რაც საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უკვე პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივას წარმოადგენს.

როგორც შალვა პაპუაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წევრობის ოთხი კანდიდატის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებაზე ბრძანება დღეს გამოსცა.

მისივე განმარტებით, დაინტერესებულ პირებს დღეიდან აქვთ ორი კვირა - 3 იანვრამდე, რათა განაცხადები წარადგინონ.

პარლამენტი საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ ცესკოს პროფესიულ წევრებს თებერვალში აირჩევს.

„კანდიდატებს შეუძლიათ ორი კვირის განმავლობაში მოგვმართონ და საკუთარი განცხადება წარმოადგინონ. პარლამენტის ვებ-გვერდზე ატვირთულია როგორც ბრძანება, ასევე ყველა ფორმა, რაც საჭიროა იმისთვის, რომ განცხადებით მოგვმართონ.

კონკურსის გამოცხადებასთან ერთად შევქმენი საკონკურსო კომისია - 7 წევრის შემადგენლობით. რეგლამენტის მიხედვით, კომისია შვიდიდან ცხრა წევრამდეა, მათ შორის ერთი წარმომადგენელი არის პრეზიდენტის. პარლამენტის აპარატი პრეზიდენტის ადმინისტრაციას კანდიდატის წარმოდგენასთან დაკავშირებით დაუკავშირდა, თუმცა მათგან პასუხი არ არის. ამიტომ, კომისია შვიდი წევრით შეიქმნება. არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტს მივმართავთ და თუ სურვილი ექნება, შეგვიძლია კომისიის მუშაობაში მისი წარმომადგენელიც ჩავრთოთ“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა

„გვაქვს მოლოდინი, რომ ახალი ადმინისტრაციის პირობებში სწორი და მართალი დამოკიდებულება იქნება“

აშშ-ის არსებული ადმინისტრაცია საქართველოსთან მიმართებით და ზოგადად, არსებულ პროცესებთან დაკავშირებით მაქსიმალურად ცდილობს, ტრამპს მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვოს, - ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ აშშ-ის ახალი სანქციების პაკეტთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, ახალი ადმინისტრაციის პირობებში საქართველოსთან მიმართებით „სწორი და მართალი დამოკიდებულება იქნება“.

„არაფერი, ჩვენ არაერთი განცხადება გავაკეთეთ რომ არსებული ადმინისტრაცია კიდევ უფრო მძიმე ნაბიჯებს გადადგამდა. იცით, რომ სულ რამდენიმე დღეში მათ უფლებამოსილება უმთავრდებათ. ისინი არა მხოლოდ საქართველოს მიმართებით, ზოგადად, პროცესებთან დაკავშირებით მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ტრამპს მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვონ. აქაც მინდა ერთი რამ ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც საუბრობს ახალ ადმინისტრაციაზე, რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებზე... ჩვენც გვაქვს მოლოდინი, რომ იქნება სწორი და მართალი დამოკიდებულება, თუნდაც საქართველოსთან მიმართებით. მაგრამ ჩვენს, ჩვენი ქვეყნის გასაკეთებელს მერწმუნეთ, ვერავინ გააკეთებს. ტრამპი არის ამერიკელი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და ის, რა თქმა უნდა, მისი ქვეყნის ინტერესებს გაატარებს და დაიცავს თავისი ხალხის ინტერესებს. იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენც. ჩვენ აგვირჩია ხალხმა და პირველ რიგში, უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის და ხალხის ინტერესები. აქ არავინ არ მოვა იმისთვის, რომ ქართველების ინტერესი გაატაროს. ყველას, დასავლეთს, ამერიკას, რუსეთს, ჩვენს სამეზობლოს აქვს თავისი პირადი ინტერესი საქართველოსთან დაკავშირებით. ჩვენ, ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ აირჩია, უნდა დავდგეთ მაგრად და დავიცვათ ქვეყნის ინტერესები და ქვეყნის მომავალი“,- განაცხადა კალაძემ.

გარდა ამერიკისა, კალაძე გამოეხმაურა დიდი ბრიტანეთის სანქციების პაკეტსაც და აღნიშნა, რომ „ეს იმ პროცესების გაგრძელებაა, რაზეც ბოლო დღეებია ვსაუბრობთ“.

„ეს იმ პროცესების გაგრძელებაა, რაზეც ბოლო დღეებია ვსაუბრობთ. ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი ადმინისტრაციის პირობებში, მთლიანად გადაიტვირთება არსებული ვითარება და შეიცვლება სიტუაცია“,- განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება კითხვას, ხომ არ მოიაზრება თავად კალაძე აშშ-ის მხრიდან მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლების სანქცირებაში, კალაძემ აღნიშნა, რომ „არ გვაქვს ინფორმაცია“.

„ოპოზიცია თავისი ენჯეოებით დაუპირისპირდა ევროინტეგრაციის პროცესს“

„ჩვენი ოპონენტები აწარმოებდნენ კამპანიას საქართველოს ევროინტეგრაციის წინააღმდეგ. ჩვენ მყისიერად დავიწყეთ მუშაობა 12 პუნქტზე. ვინ არ შემოვიდა პროცესში? - ოპოზიცია და „ენჯეოები“ არ შეუერთდნენ ამ პროცესს, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული კანდიდატის სტატუსის მიღებასთან. ჯგუფებშიც კი არ შემოვიდნენ. „ენჯეოებმაც“ უარი თქვეს ამ პროცესში მონაწილეობაზე. ჩვენ მარტომ ვიბრძოლეთ წელიწად-ნახევრის განმავლობაში და მარტომ მოვიპოვეთ, გამოვგლიჯეთ ხელიდან შესაბამის ძალებს კანდიდატის სტატუსი“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

პრემიერმა ევროინტეგრაციის პროცესში ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისინი თავიდან ბოლომდე უპირისპირდებოდნენ ამ პროცესს.

„რეალურად ჩვენი კურსი არის ძალიან მკაფიო. 2022 წლიდან მოყოლებული ჩვენ ვითხოვდით კანდიდატის სტატუსს. ამისთვის შეიქმნა სამუშაო პროცესი, წარვადგინეთ 5-ათას გვერდიანი დოკუმენტაცია, რის მომზადებაშიც ჩვენი საჯარო მოსამსახურეები იყვნენ ჩართული როგორც მთავრობიდან, ისე პარლამენტიდან, სხვა სტრუქტურებიდან და ივნისში გვეთქვა უარი კანდიდატის სტატუსზე. ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ იგივე პერიოდში „ენჯეოები“ დაუპირისპირდნენ ამ პროცესს. ისინი ამბობდნენ, რომ არა სახელმწიფოს, არამედ „ენჯეოებს“ უნდა შეევსოთ ეს განაცხადი. ოპოზიცია თავიდან ბოლომდე უპირისპირდებოდა ამ პროცესს. მაშინ გახსოვთ, რომ ერთ-ერთი „ენჯეოს“ წარმომადგენელი, რომელიც ევროინტეგრაციის მიმართულებას ხელმძღვანელობდა, პირდაპირ აცხადებდა, რომ საქართველოს არ უნდა მინიჭებოდა კანდიდატის სტატუსი - ვგულისხმობ, „სოროსის“ ფონდის ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ჩვენი ოპონენტები პირდაპირ აწარმოებდნენ კამპანიას საქართველოს ევროპული გზის წინააღმდეგ, თუმცა გაღიზიანება არ მახსოვს მაინც და მაინც კონკრეტული ძალების მხრიდან ამასთან დაკავშირებით. ჩვენი ოპონენტები აწარმოებდნენ კამპანიას საქართველოს ევროინტეგრაციის წინააღმდეგ, ჩვენ ვითხოვდით საქართველოს წინსვლას ევროინტეგრაციის მიმართულებით. ივნისში გვეთქვა უარი. არავითარი განმარტება არ მოგვისმენია ამასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ადამიანებმა, რომლებიც იბრალებენ პროქართულობას, გადადგეს ყველაზე ანტიქართული ნაბიჯი და ქართველ ხალხს 2022 წლის ივნისში უარი უთხრეს კანდიდატის სტატუსზე“, - აღნიშნა პრემიერმა.

„რომ არა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა, ამ შედეგს ვერ მივიღებდით“

სკოლების ავტორიზაციის პროცესი უკვე წლებია მიმდინარეობს. ავტორიზაცია ესაა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომლის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება, მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა დაწესებულებაში დაიდენტიფიცირებული გამოწვევების გადასაჭრელად.

საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. ავტორიზაცია სავალდებულოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ამასთანავე, მხოლოდ ავტორიზებულ დაწესებულებას აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტის - დიპლომის/ატესტატის გაცემის უფლება.

სულ ახლახანს, ავტორიზაციის პროცესი ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლამაც წარმატებით გაიარა. სამუშაო პროცესზე, მიღწეულ შედეგებზე, ავტორიზაციის უპირატესობებზე, სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთ „შირაქს“ სკოლის დირექტორი ხათუნა მაძღარაშვილი ესაუბრა.

-როგორ შეაფასებდით მთლიან პროცესს? რამდენი ხანი მიმდინარეობდა და რა შრომა ჩაიდო ამ შედეგის მისაღებად?

ეს საკმაოდ ხანგრძლივი ექვსთვიანი პროცესი იყო. თავდაპირველად განაცხადი წარვადგინეთ (ე.წ საავტორიზაციო განაცხადი), გვცნეს სტატუსის მაძიებლად, შემდგომ კი უკვე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. მათ გამოგვიგზავნეს დღის წესრიგი, პარალელურად, ადგილზე ჩამოვიდნენ და გაეცვნენ ყველა საჭირო დეტალს. ავტორიზაციის პროცესს 4 მიმართულება აქვს და ყველა მიმართულებით საკმაოდ დადებითი შეფასება გვქონდა. ერთადერთი ,რაც თავიდანვე, ასე ვთქვათ, პრობლემად გამოიკვეთა, მდგრადობის შესახებ ცნობა გახლდათ, რომელიც სკოლის შენობას არ აქვს. თუმცა, ეს რადგან ჩვენზე არ არის დამოკიდებული, შეფასების დროს ავტორიზაციის ჯგუფმა მეტწილად კარგი შეფასება მოგვცა. შესაბამის უწყებაში წერილები გაგზავნილი გვაქვს, პროცესი დაწყებულია და მათგან დაველოდებით უკუკავშირს, ამისთვის 2 წელი გვაქვს დრო. კურიკულუმები, ადმინისტრაციის მუშაობა, მასწავლებელი-მოსწავლის დამოკიდებულება სასწავლო პროცესში - მოთხოვნები ყველა მიმართულებით დავაკმაყოფილეთ და, შესაბამისად, მივიღეთ სრული ავტორიზაცია.

-როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ავტორიზაციის მინიჭება მონიტორინგის გარეშე მოხდა. რატომ მონიტორინგის გარეშე? რამ გამოიწვია ეს?

თავდაპირველად, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადმოგვიგზავნა ჩვენს მიერ შევსებული დოკუმენტი, გვქონდა გონივრული ვადა (ორი კვირა) იმ შენიშვნების გამოსასწორებლად, რომელიც მათ მოგვცეს. შენიშვნები ძირითადად მასწავლებლების კურიკულუმებს ეხებოდა. ეს ძალიან უმნიშვნელო შენიშვნები იყო. რა თქმა უნდა, ვიმუშავეთ იმაზე, თუ რა უნდა გამოგვესწორებინა, რომელ კონკრეტულ მიმართულებას ჰქონდა ხარვეზები. შესწორებული ვარიანტი უკან გადავუგზავნეთ ექსპერტებს, მოეწონათ და სრული ავტორიზაცია მოგვანიჭეს. როდესაც ექსპერტთა ჯგუფი საბოლოო დასკვნას აკეთებს, ზოგს აძლევს ნაწილობრივ ავტორიზაციას, რომელიც 1 ან 2 წლის შემდგომ მონიტორინგს გულისხმობს, მაგრამ იმდენად კარგად გვქონდა ყველაფერი გაკეთებული, რომ მონიტორინგის გარეშე გავიარეთ ეს პროცესი. ადრე 6 წლიანი იყო, ახლა კი 9 წლის განმავლობაში ჩვენი სკოლა ავტორიზებული იქნება.

-რა შესაძლებლობებსა და უპირატესობებს ანიჭებს ეს პროცესი თქვენს სკოლას?

რას ნიშნავს ავტორიზაცია? ეს ნიშნავს ფაქტს, რომ ყველაზე მინიმუმ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის საშუალება აქვს ამ სტატუსის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. ეს უფლება კი სრულად და ლეგიტიმურად მოვიპოვეთ. ბედნიერები, ამაყები და კმაყოფილები ვართ. მეორე დღეს სკოლაში რომ დავბრუნდით, ავტორიზებული სკოლის მასწავლებლებს რომ მივესალმე, თითქოს სხვანაირი სიამაყის შეგრძნება იყო. მეტი მოტივაცია გაგვიჩნდა.

-რა არის ის არსებითი ნიუანსები, რაზეც თქვენმა სკოლამ ამ პროცესში გამახვილა ყურადღება?

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ჩვენ პრაქტიკულად, შეფერხება არ გვქონია არცერთ დოკუმენტთან დაკავშირებით. რა დოკუმენტსაც კითხულობდნენ, უმოკლეს დროში იღებდნენ მასზე წვდომას. ერთადერთი სკოლას არ ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომლის შესამუშავებლად გარკვეული ვადა მოგვცეს. სპეციალურად შეიქმნა ყველა კათედრიდან წარმოდგენილი მასწავლებლებით, საინფორმაციო მენეჯერითა და ისტის მასწავლებლით დაკომპლექტებული ჯგუფი. ბოლოს წარდგენილ ვერსიაში ჩვენ უკვე ეს გეგმაც შეტანილი გვქონდა, რაც საკმაოდ კარგი გამოვიდა. ჩვენს სკოლას აქვს ძალიან დიდი ფართობი, რომლის ათვისებასაც ვგეგმავთ შემდგომ წლებში. თითოეული კლასი დაინტერესებულია და ვცდილობთ, მოსწავლეებიც მივაჩვიოთ მოვლა-პატრონობის კულტურას. ეს გეგმაშიც ავსახეთ. საკმაოდ ამბიციურად ჟღერს, მაგრამ ახლა უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, რომ ცხრა წლის შემდეგ ავტორიზაციას კვლავ რომ გავივლით, მონიტორინგმა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად ვიმუშავეთ ამ წლების განმავლობაში. აღვნიშნავ, ეს პროცესი უფრო მეტად გახალისებს, უფრო მეტად შრომისუნარიანს და ნაყოფიერს გხდის.

-როგორ იყო ჩართული ამ ყველაფერში სასკოლო საზოგადოება?

ერთი წლის წინ, როდესაც ხელმძღვანელი გავხდი, ძალიან მალე ეს პროცესიც დაიწყო. რომ არა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მთლიანად ადმინისტრაციის ჩემს გვერდით დგომა, ალბათ, ამდენს ვერ შევძლებდი. თითოეული მასწავლებლის უდიდესი წვლილი არის ჩადებული ამაში. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ასეთი ერთსულოვანი კოლექტივი ჩვენ ჯერ არ გვინახავსო. ყველა საკითხში თავიდანვე ძალიან კარგი შეფასება გვქონდა. ექსპერტებმა კარგად დაინახეს ყველაფერი და შესაბამისი დასკვნაც დაიდო. პროცესში მარტო მე არ მიმუშავია. მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი - წუნი ვერსად შეიტანეს, ვერცერთი ადამიანის ნამუშევარში. ეს უდიდესი შრომისა და მონდომების შედეგია. ჩვენ მუდმივად ასეთ რეჟიმში ვმუშაობდით. ერთი წუთი არ მოგვიდუნებია ყურადღება და მის მერე ასმაგად და ათასმაგად ვშრომობთ, რომ გავამართლოთ მონიჭებული ეს

უდიდესი ნდობა.

***

ავტორიზაციის პროცესი ხორციელდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალის საშუალებით: „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გაზეთი „შირაქი“ კიდევ ერთხელ ულოცავს ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას სრული ავტორიზაციის მინიჭებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

არაფორმალური განათლება ახალგაზრდების გაძლიერებისთვის

ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსის ფარგლებში კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი - „არაფორმალური განათლება ახალგაზრდების გაძლიერებისთვის“ განხორციელდა.

პროექტის „არაფორმალური განათლება ახალგაზრდების გაძლიერებისთვის” წარმატებულად ჩატარდა საქართველოს შემდეგი 12 მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ჩართულობით: თბილისი, საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, გორი, წალკა, ჩხოროწყუ, ონი, ფოთი და ბათუმი.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე ორგანიზატორებმა მიმოიხილეს პროექტი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ისაუბრეს. ტრენინგისა და საჯარო დებატის წარმატებულ მონაწილეებს კი სერტიფიკატები გადაეცათ.

ტრენინგები დებატების ტექნიკაში 12 მუნიციპალიტეტში ჩატარდა. ასევე გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი და საჯარო დებატი. აღნიშნულ აქტივობებში კი 1500-ზე მეტი მონაწილე ჩაერთო.

პროექტის მიზანი - ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა: კონსტრუქციული მსჯელობა, არგუმენტაცია, მასალების მოძიება, ორატორობა, გუნდურობა, დროის მართვა, ოპონენტის პატივისცემა და სხვა.

პროექტი („არაფორმალური განათლება ახალგაზრდების გაძლიერებისთვის“) სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსის - „ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება“ - ერთ-ერთი გამარჯვებულია.

***

ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ახალგაზრდებს ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები და გამოცდილება სჭირდებათ, ვიდრე ფორმალურ საგანამანათლებლო ინსტიტუტებში იღებენ. მათ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მრავალი ურთიერთგანსხვავებული გარემო მოქმედებს: ოჯახი, სკოლა, სამუშაო ადგილი, თანატოლები, მედია და ა.შ. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ახალგაზრდული საქმიანობა. ახალგაზრდული საქმიანობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტია, რომელიც არაფორმალური განათლების კონცეფციაზე დაყრდნობით ხორციელდება. ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. ის ხელს უწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლიანი და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, განუვითარდეთ კომპეტენციები - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის. ახალგაზრდული საქმიანობა ავსებს ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს (ოჯახი, სამსახური, სკოლა და ა.შ.) და სთავაზობს ახალგაზრდებს ხელშესახებ უპირატესობებს არაფორმალურს და ფორმალურს გარე სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით და შესაბამისი მიზნობრივი მიდგომებით. განათლება არაფორმალურ გარემოში უმეტესწილად დამოკიდებულია ახალგაზრდის პიროვნულ მოტივაციასა და სწავლის შესაძლებლობებზე. ახალგაზრდა დამოუკიდებლად და ნებაყოფლობით ირჩევს შესაბამის სასწავლო გარემოს.

ასეთი ტიპის განათლება უფრო მეტად უწყობს ხელს სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას ახალგაზრდებში, ვინაიდან მათ უნდა შექმნან და შეინარჩუნონ ურთიერთობები სასწავლო გარემოსთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არაფორმალურ განათლებას უფრო დიდი პოტენციალი აქვს პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარებისთვის, ვიდრე ფორმალურს.

ინგა შიოლაშვილი

გაუმჯობესებული უფასო კვება დედოფლისწყაროში

სოციალურად დაუცველთათვის უფასო კვების მომსახურება კახეთის მასშტაბით დედოფლისწყაროში ყველაზე საუკეთესო რომ არის, ამის შესახებ ხშირად თქმულა. სურსათის სააგენტოს სპეციალისტების შემოწმებაც მუდმივად ადასტურებს, რომ დედოფლისწყაროს სათნოების სახლში პროდუქტის შენახვისა და საკვების მომზადების პროცესში ყველა პირობა დაცულია. ასეთი დასკვნა დაიდო რამდენიმე თვის წინაც, გეგმიური ინსპექტირების შემდეგ. აღარ ისმის ბენეფიციარების პრეტენზიებიც საკვების უხარისხობასთან დაკავშირებით. მერამდენე წელია საქონლის გაყინული ხორცი ნედლით ჩანაცვლდა. ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე „შირაქი“ სათნოების სახლის დირექტორს ესაუბრა.

მარინა ტოკლიკიშვილი (დედოფლისწყაროს „სათნოების სახლის დირექტორი): „საკმაოდ ხარისხიანი მენიუ გვაქვს, 1200-დან 1500 კალორიამდე იღებს თითოეული ბენეფიციარი. **კვირაში 5 ჯერ გვაქვს ხორცეული: სოსისი, 2-ჯერ საქონლის გაუყინავი, ნედლი ხორცი, გუფთისა და ბორშჩის სახით. ასევე, ორჯერ ქათმის ბარკალი.** ტენდერში გამარჯვებული კომპანია თბილისიდან კვირაში ერთხელ გვაწვდის ნედლ ხორცს, რომელსაც მაცივარში ვინახავთ. დაახლოებით 6-7 წელი იქნება, გაყინულ ხორცს აღარ ვიყენებთ და ნედლი ხორცი მოგვეწოდება. ქათმის ბარკლის გარდა გაყინულ პროდუქტს არ მოვიხმართ. კვირაში 6 დღე ვმუშაობთ 9-დან 16 საათამდე. ამ ეტაპზე ძირითადად მიაქვთ საკვები და ადგილზე საკვებად აღარ სხდებიან. პანდემიის დროს იმდენად მიეჩვივნენ ამას, რომ კოვიდმა შეცვალა მათი ჩვევები. თითქმის ყველას ურჩევნია შინ წაიღოს. ერთეულები დარჩნენ, რომლებიც ადგილზე იკვებებიან, შეიძლება დღეში 10 ადამიანიც არ იყოს ასეთი. ამჟამად 170 ბენეფიციარია ჩვენთან ჩაწერილი, ამ დროისთვის არცერთი მომლოდინე პირი არ გვყავს. თუ განაცხადი შემოდის, სპეციალური კომისია ოპერატიულად განიხილავს და კომისიის დასკვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ ჩაირიცხება ჩვენთან. ასევე მაქსიმალურად ვცდილობთ, ყურადღება მივაქციოთ ბავშვებს, რომ მცირეწლოვანებიც იყვნენ დაპურებულნი. რა თქმა უნდა, მარტოხელებიც, მაგრამ ბავშვებიც პრიორიტეტია. სრულფასოვანი ჩვეულებრივი ულუფა გაიცემა მცირეწლოვნებისთვისაც. 5 წლის ზემოთ ბავშვებსაც სრულ ულუფას ვაწვდით, რომელსაც დღის განმავლობაში ინაწილებენ. ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში ჩვენი შიდა ბრძანებით ვახდენთ მის ამოწერას და გამოთავისუფლებულ ადგილზე კვლავაც ახალი მოქალაქეები მიიღებიან.

ყოველდღიურად საკვები მზადდება 170 ადამიანზე, რამდენიმე გაცდენილი ადამიანის ულუფა გაიცემა სხვა მოქალაქეებზე, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც სიაში არ გვყავს.

— ***მენიუს შემადგენლობაზე რომ გვესაუბროთ...***

— **პირველი კერძი აუცილებლად არის წვნიანი, მეორე — ფაფა, ან მოხარშული მაკაronი, ვერმიშელი სოსისთან ერთად, რძის ფლავი. კვირაში ორჯერ რძიანი პროდუქტი გვაქვს, ესაა რძეში მოხარშული ჰერკულესი. ხუთშაბათს მაწვნის სუპი, პარასკევს რძის ფლავი.** ხელშეკრულება გვაქვს დადებული ადგილობრივ მიმწოდებელთან და დედოფლისწყაროდან ვიღებთ სახლის ახალ რძეს, რათა მოხუცებსაც და ბავშვებსაც კალორიული კვება ჰქონდეთ. ხორცი ნედლი სახითაა, ქათმის ბარკალი და სოსისი. ბარკალით ერთხელ სუპი მზადდება, ხოლო ხუთშაბათს ქათმის ფლავი. თევზიც გვქონდა, მაგრამ ამოვიღეთ, თვითონ არ უნდოდათ. პრეტენზიები ისმოდა და შენვა დამატებით რეგულაციებთანაა დაკავშირებული, მოხარშული უფრო უსაფრთხოა, მაგრამ არ ისურვეს. არადა მოხარშული საკვებით ყველა დაცულია და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ,უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად დავიცვათ. ყოველდღიურად გათვალისწინებულია დესერტი: სეზონურად ცოცხალი ხილის, კომპოტის სახით, ასევე

კვირაში ორჯერ ჩაი, პეჩენია და კარამელი. ნამდვილად გაუმჯობესებულია კვება. ასეთი მენიუთი მომსახურება ნამდვილად დასაფასებელია და მადლობა მინდა ვუთხრა მუნიციპალიტეტს, რომელიც სოლიდურ დაფინანსებას გამოყოფს საიმისოდ, რომ სრულფასოვანი კვება ჰქონდეთ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს.

— ***ყოველთვის ისმოდა გულისწყრომა, რომ ზამთარ-ზაფხულ უცვლელი მენიუ იყო და ბოსტნეული არ მიეწოდებოდათ... ვიცი, რომ ეს მიდგომა შეიცვალა...***

— ზაფხულში მენიუ აუცილებლად იცვლება. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში გადავდივართ საზაფხულო მენიუზე. ვინაიდან სოსისი სოციალურად დაუცველი ფენისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია, ეს პროდუქტი საზაფხულო მენიუშიც რჩება. ამოვარდება მხოლოდ ოთხშაბათს ვერმიშელი, რომელიც კიტრიპომიდვრის სალათით იცვლება. ასევე რძის ფლავის ნაცვლად პარასკევს მზადდება აჯაფსანდალი. ვემსახურებით ქალაქ დედოფლისწყაროსა და მისი მეზობელი სოფლების, ხორნაბუჯისა და სამრეკლოს მაცხოვრებლებს, ყველას, ვისაც სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს. სოფლებიდანაც საკმარისად გვყავს ბენეფიციარები.

— ***სიმართლე გითხრათ, რამდენიმე წელია სათნოების სახლის უკმაყოფილო ბენეფიციარი აღარ შემხვედრია და არც შენიშვნები მსმენია, როცა მანამდე ყოველთვის ისმოდა. თუ აქვთ შენიშვნები და კომუნიკაციის რა ფორმა არსებობს მათთან, რა დამოკიდებულებაა თქვენს შორის?***

— დიდი ხანია პრეტენზიები აღარც მე მსმენია. არ არიან ისეთი მორიდებულები, რომ საჭიროების შემთხვევაში შენიშვნა ვერ თქვან. თუკი რაიმეს თქმა უნდათ, არ იზღუდებიან, თამამად გამოხატავენ დამოკიდებულებას, მოსაზრებას. ათ წელზე მეტია მათთან ვმუშაობ და ოჯახის წევრებივით ვართ ერთმანეთისთვის, შეიძლება ცოტა უფრო მეტიც. ამ ხნის მანძილზე საკმაოდ გულახდილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ნამდვილად ვგრძნობ მათ სიყვარულს, მოკითხვა და გულწრფელი საუბარი იციან. ხშირად ამბობენ, რომ ვუყვარვართ და ეს სიტყვები ძალიან გულწრფელია. ეს ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისასაც ხდება, მაჩერებენ და მელაპარაკებიან. სატელეფონო კომუნიკაციაც მუდმივად გვაქვს. თუ ვერ ახერხებენ მოსვლას გვიკავშირდებიან და გვაქვს ინფორმაცია. თუკი რამდენიმე დღე ვერ ახერხებენ გამოცხადებას და ზოგიერთი ბენეფიციარი, რომელთაც გადაადგილება უჭირთ, სარგებლობენ მინდობილობით და მათ ულუფას საცხოვრებელ მისამართზე სხვა მიუტანს. მოვერგეთ სიტუაციას და მაქსიმალურად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ, რომ ყველა ვითარებაში მიუწვდებოდეთ კერძებზე ხელი. მათი ყველაფერი გვესმის, ვცდილობთ მაქსიმალურად გავუგოთ, ხელი შევუწყოთ. ისინიც ასე არიან ჩვენს მიმართ და ასევე ერთმანეთის მიმართ. ყველამ იცის ერთმანეთის ავი და კარგი. თუ ზოგიერთი მათგანი ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში არ გამოცხადდა, აუცილებლად მივდივართ სახლში და ვცდილობთ, გავარკვიოთ რა უჭირთ და რა მიზეზი აქვთ.

— ***მაშინ, როცა ყველა სამსახური გაჩერებული იყო, სათნოების სახლს მუშაობა არ შეუწყვეტია...***

— ექთანი არ გვყავს, ამიტომ თუ ბენეფიციარი ცუდად ხდება, ამ შემთხვევაში სასწრაფოს ვიძახებთ ხოლმე და რეაგირებას ისინი ახდენენ. ყველაზე რთულად პანდემიის პერიოდი გადავიტანეთ. მაშინ ყველაფერი დაიკეტა, მაგრამ ჩვენ ჩვეულებრივ ვაგრძელებდით მუშაობას. პროდუქტის დროულად მიწოდების პრობლემა იყო, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ კეთილსინდისიერი მიმწოდებლები შეგვხვდნენ და ამ მხრივ არანაირი შეფერხება, ან დაგვიანება არ გვქონია. დროულად და სათანადოდ გვამარაგებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფასებიც მზარდი იყო, არცერთს არ უფიქრია ფასების მატება. მაშინ უფრო მეტი, 200 ბენეფიციარი გვყავდა. რთულად, მაგრამ მაინც ვმუშაობდით. ვცდილობდით რეგულაციების დაცვით გვემუშავა, საკვები გაგვეცა ისე, რომ ვირუსის გავრცელების კერა არ შეგვექმნა. მზა საკვები ქვაბებით გაგვქონდა დარბაზში, იქიდან კი მოქალაქეებს ფანჯრიდან ვაწვდიდით. ყველა ჩართული იყო ამ საქმეში და დღეში სამჯერ დეზინფექციას ვატარებდით. სხვათაშორის, არცერთ ბენეფიციარს არ შემოუტანია სათნოების სახლში კოვიდ ვირუსი და არც ჩვენ გადაგვიდია მათთვის. ერთხელ იყო, როცა 4 თანამშრომელს ერთდროულად დაუფიქსირდა კოვიდი და დანარჩენმა 4-მა გავაგრძელეთ მუშაობა. **ჩვენთან არცერთი ბენეფიციარი კოვიდ ვირუსით არ გარდაცვლილა,** არადა ეს ყველაზე მოწყვლადი კატეგორიაა, მაგრამ საბედნიეროდ, ლეტალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

— ***სულ ახლახან, სურსათის სააგენტოს შემოწმების შემდეგ დაიდო დასკვნა, რომ სათნოების სახლში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია...***

— მოულოდნელად მოდის სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორთა რეგიონული ჯგუფი და გვამოწმებს. ხსნიან საწყობს, მაცივარს და ამოწმებენ სამზარეულოს. ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა თითოეული პროდუქტის მიღება, სათანადოდ შენახვა და წესების დაცვით კერძების მომზადება. მიმდინარე წლის ზაფხულშიც გვყავდა სურსათის სააგენტო და მათგან არანაირი შენიშვნა არ მიგვიღია. არც მცირე სახის ხარვეზი არ გამოვლენილა და გაირკვა, რომ სტანდარტების სრული დაცვით ვმუშაობთ. წელიწადში რამდენჯერმე გვამოწმებს სპეციალისტების ჯგუფი და ზოგჯერ არის ხოლმე მცირე მითითებები, რომელსაც დროულად ვასწორებთ. მაგრამ წელს არანაირი შენიშვნა არ მიგვიღია. ყოველთვის ვცდილობთ, გადავამოწმოთ და ვაკონტროლოთ მომწოდებელი პროდუქტის შემოტანისას მთელი წლის მანძილზე იცავს თუ არა ტენდერით გათვალისწინებულ პირობებს. სულ საფიქრალია, თუ ტენდერი ახალ მიმწოდებელს გამოავლენს, რამდენად კეთილსინდისიერი აღმოჩნდება ეს კომპანია და ვიქნებით თუ არა კმაყოფილი მათი მუშაობით. გამუდმებით საფიქრალია ეს. არანაირი შემოწირულობები არასამთავრობო სექტორისგან ჩვენთან არ შემოდის. კერძო ინიციატივით მოქალაქეებს რამდენჯერმე ჰქონიათ მინიმალური შემოწირულობა: ცხვრის ხორცი, 5-6 საზამთრო, ზოგჯერ რძე.

ილია მარტყოფლიშვილი

გაბრიელ ქიქოძე – შთაგონება მომავალი თაობებისთვის

გაბრიელ ქიქოძე იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი და სასულიერო პირი. მისი ცხოვრება და საქმიანობა მნიშვნელოვანი წვლილი იყო XIX საუკუნის საქართველოს ინტელექტუალურ და კულტურულ განვითარებაში. იგი დაიბადა 1825 წელს რაჭის სოფელ ჭრებალოში. ქიქოძეს განათლება ევროპულ კლასიკურ ტრადიციაზე დაყრდნობით ჰქონდა მიღებული და ამის წყალობით, ის არა მხოლოდ თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და სწავლული ფიგურა გახდა, არამედ თანამედროვე ქართული ენისა და კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

განათლება და მოღვაწეობა

გაბრიელ ქიქოძემ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო, ხოლო შემდეგ განათლება გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია და ისტორია, რამაც მას ფართო ჰორიზონტები გაუხსნა. აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სასულიერო სემინარიაში პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, გაბრიელ ქიქოძე აქტიურად იყო ჩართული ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებაში. მან დიდი დრო დაუთმო ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევას. მისი ნაშრომები ეხებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენისა და ხალხური შემოქმედების თემებს.

თეოლოგია და სამწერლო საქმიანობა

გაბრიელ ქიქოძე, როგორც სასულიერო პირი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიურ განათლებასა და ზნეობრივ ღირებულებებს. იგი ცდილობდა, ქრისტიანული მორალი და ეროვნული ცნობიერება დაეკავშირებინა, რაც მის ნაშრომებში აშკარად იგრძნობა. ქიქოძის ტექსტებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის სულიერ განვითარებასა და ზნეობრივ ფასეულობებს.

მისი სამწერლო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. ქიქოძე წერდა სამეცნიერო, რელიგიურ და პუბლიცისტურ ნაშრომებს. მის ნაწერებში გამოვლინდა ეროვნული იდენტობის გაძლიერებისკენ სწრაფვა და ქართული ტრადიციების შენარჩუნების სურვილი. იგი თავის ნაშრომებში ხაზს უსვამდა ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის მნიშვნელობას.

გაბრიელ ქიქოძის წვლილი განათლებაში

ქიქოძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საგანმანათლებლო სისტემის რეფორმას და ქართველ ახალგაზრდობაში ევროპული განათლების იდეების გავრცელებას. მისი პედაგოგიური მეთოდები შთაგონებული იყო პროგრესული იდეებით, რაც მიზნად ისახავდა ქართული განათლებისა და კულტურის მოდერნიზაციას. ქიქოძემ დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდების მოტივირებასა და ინტელექტუალური ელიტის ჩამოყალიბებაში, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა

გაბრიელ ქიქოძე აქტიურად იყო ჩართული XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან არაერთხელ გამოხატა თავისი პოზიცია ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მიმართ. ქიქოძის აზრით, საქართველოს წინსვლისთვის აუცილებელი იყო ხალხის განათლება და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება.

ქიქოძე მხარს უჭერდა ეროვნული მოძრაობის იდეას და აქტიურად მონაწილეობდა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი და ქართული ტრადიციების შენარჩუნება რუსეთის იმპერიის გავლენის პირობებში.

პირადი ცხოვრება და მემკვიდრეობა

გაბრიელ ქიქოძე, როგორც პიროვნება, გამოირჩეოდა თავმდაბლობით, სინდისიერებითა და სულიერი სიღრმით. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა დიდი წვლილი შეიტანოს თავისი ერის განვითარებაში.

ქიქოძის მემკვიდრეობა დღემდე მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისთვის. მისი ნაშრომები და იდეები კვლავაც ასწავლის და შთააგონებს მომავალ თაობებს.

გაბრიელ ქიქოძე გარდაიცვალა 1896 წელს, მაგრამ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მუდმივად დარჩება საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცლად.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

„უცხო“ თავისუფლება

ალბერტ კამიუს „უცხო“ (ფრანგულ თარგმანში L'Étranger) არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელიც ასახავს ეგზისტენციალიზმსა და აბსურდიზმს, და მისი მთავარი თემა ადამიანური თავისუფლებაა. ამ რომანში მთავარი პერსონაჟი, მერო, ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს თავისუფალი სამყაროში, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული აზრი ან მიზანი.

თავისუფლება „უცხოში“

1. მეროს გულგრილობა და სოციალური მოლოდინებისგან გათავისუფლება: მერო არის ადამიანი, რომელიც სრულიად უგულებელყოფს საზოგადოებრივი ნორმებისა და მოლოდინების თანხვედრას. დედის დაკრძალვის დროს ის არ გამოხატავს ემოციებს, არ არის დაინტერესებული მორწმუნეობით და არ მიმართავს რაიმე ფორმის სინანულს საკუთარი ქმედებების მიმართ. მისი გულგრილობა და გულახდილობა საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და მორალური ნორმების მიმართ შეიძლება , როგორც გარკვეული ფორმის თავისუფლება. მერო თავისუფალია იმ წნეხებისგან, რომლებიც ადამიანებზე ზემოქმედებენ და სურთ მათი საქციელი შესაბამისობაში მოვიდეს საზოგადოების მოთხოვნებთან.

2. აბსურდი და თავისუფლების საზღვრები: კამიუში აბსურდი არის მულტიფუნქციური იდეა, რომ ადამიანის ცხოვრებას არ გააჩნია განსაზღვრული აზრი ან მიზანი, და რომ ნებისმიერი მცდელობა ცხოვრების აზრის პოვნისა, ამაოა. მერო წარმოადგენს აბსურდის ბუნებას: იგი ცხოვრობს ისე, რომ არ ცდილობს რაიმე განსაკუთრებული მიზნის მიღწევას. ის უბრალოდ იღებს ცხოვრებას, ისეთს, როგორიც ის არის, იმ ფიქრის გარეშე, თუ რა არის მისი არსებობის შინაარსი. ამგვარი თავისუფლება შესაძლოა ჰგავდეს „ზედმეტ“ თავისუფლებას, რადგან მერო არ გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე, რაც საბოლოოდ გახდება სოციალური კონფლიქტის მიზეზი.

3. თავისუფლება და აბსურდული გმირი: კამიუში აბსურდული გმირი არის ადამიანი, რომელიც იღებს ამ აბსურდს და მაინც ცოცხლობს მისი „ალტერნატიული თავისუფლებით“. მერო ამ ტიპის გმირია. ის არ ცდილობს თავისი ცხოვრება გაამართლოს ან შექმნას რაიმე ხელოვნური საზღვარი, რათა ნორმების მიხედვით გაამართლოს თავისი ქმედებები. მისი ქმედებები, მისი პოზიცია და რეაქციები ავლენს მის დაცემას დანაშაულის აღიარებისგან, ვინაიდან მას არ სურს თავისი ქმედებების გამართლება. ის მხარს უჭერს აბსურდულ იდეას: კაცმა არ უნდა ეცადოს, ცხოვრება გაასამართლოს.

4. თავისუფლება სიკვდილის მიღებაში: მერო იწყებს საკუთარი სიკვდილის და საკუთარი გადარჩენის წინააღმდეგ ბრძოლას, რომ მხოლოდ ის დარჩეს, ვინც მასზე ზრუნავს. საბოლოოდ ის იღებს სიკვდილს, რადგან ეს ფენომენი არის ცხოვრების უმნიშვნელო ნაწილი. მისთვის სიკვდილის იდეა აღარ არის მტკივნეული ან უსამართლო, არამედ ის მზადაა მოკვდეს და მიიღოს თავისი ტრაგედია. ეს თავისუფლება ბევრად განსხვავდება იმ ტიპის თავისუფლებისგან, რაც ჩვეულებრივ განსაზღვრულია პოლიტიკურ კონტექსტში.

იგი არის ადამიანური მიღების თავისუფლება, რომელიც მიმართულია დაუსრულებელ არსებობაზე.

კამიუს ხედვა თავისუფლებაზე

„უცხოში“ კამიუ გვიჩვენებს, რომ თავისუფლება არ არის მხოლოდ წვდომა ფიზიკურ რესურსებზე ან საზოგადოებისგან დამოუკიდებლობაზე. ამის მაგივრად, თავისუფლება არის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ზუსტად ეფუძნება სამყაროს აბსურდულობას და რეალობას, რომელიც არ ითხოვს მიზნისა ან მნიშვნელობის არსებობას. მერო თავისუფალი არის არა იმიტომ, რომ მას ფიზიკური და სოციალური შეზღუდვები არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ ის აცნობიერებს რეალობას, სადაც არსებობს მხოლოდ ერთი რამ: ყოფნა.

დასკვნა

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ კამიუს ეს გენიალური რომანი, ჰიმნი თავისუფლებისადმი XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი ტექსტია, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა დილემა, თუ ვინაა ცენტრალური ფიგურა სამყაროში: საზოგადოება, ნაცია, პარტია, იდეოლოგია თუ ადამიანი...

ამ კითხვას კამიუ მარტივად პასუხობს - ადამიანი მთელი სამყაროა, მისი თავისუფლება კი - ყველაზე მნიშვნელოვანი. უფლება იმისა, თავად გაერკვეს, როგორი სურს, რომ იყოს...

კამიუმ დაგვიტოვა უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც გვეუბნება, რომ როცა არ ვიცით რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დავეკითხოთ და გავაკეთოთ თავისუფალი არჩევანი, მიუხედავად იმისა, ვის მოეწონება და ვის არა! სწორედ ამას გვასწავლის მერსო, ამას გვასწავლის „უცხო“, ალბერ კამიუ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რატომ იყო კარგ ხასიათზე კრემლის ბინადარი და ვის ემუქრებოდა რაკეტა "ორეშნიკით"?

გერმანულმა სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველემ" (Deutsche Welle) თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ექსპერტები თვლიან, რომ ვლადიმერ პუტინის „წლიური" პრესკონფერენცია დონალდ ტრამპის მმართველობისადმი მომზადებას ნიშნავს" (ავტორი – ნიკიტა ჟოლკვერი).

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

„გერმანელი რუსოლოგები - რუსეთის სპეციალისტები - შტეფან მაისტერი და ჰანს-ჰენინგ შრედერი განმარტავენ, თუ რატომ ილაპარაკა ჩვეულებრივზე მეტი ვლადიმერ პუტინმა 19 დეკემბერს მოსკოვში გამართულ „შემაჯამებელ" პრესკონფერენციაზე, უკრაინასთან მიმდინარე ომის შესახებ.

პირდაპირი ხაზი-2024": პუტინის მრავალსიტყვაობა უკრაინაზე

„პუტინის უხვსიტყვაობა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია იმასთან, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში ბატონობს აზრი - რადგანაც საქმე გამარჯვებისაკენ მიდის, შეიძლება პოზიტიური განცხადებები გაკეთდეს და შიგადაშიგ დანაკარგებიც ვახსენოთ", - ამბობს „დოიჩე ველესთან" საუბრისას პროფესორი ჰანს-ჰენინგ შრედერი. ეს ეხება კურსკის ოლქში შექმნილ მდგომარეობასაც, რომლის მცირე ნაწილის ოკუპირებას უკრაინის არმია აგვისტოდან დღესაც აგრძელებს: „კურსკის სიტუაციაზე ვლადიმერ პუტინმა ფართოდ იმიტომ ილაპარაკა, რომ მისი გათვლით, რუსეთის არმია დონბასს მალე მთლიანად დაიპყრობს და კურსკის ოლქსაც სწრაფად გაათავისუფლებს, მით უმეტეს, რომ იქაც უკრაინის ქვედანაყოფები თანდათან უკან იხევენ".

შტეფან მაისტერის შეფასებით, „ვლადიმერ პუტინი საკვირველად კარგ ხასიათზე იყო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ომის მდგომარეობაში იმყოფება და მძიმე ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის. კრემლმა ახლახან სირიაც დაკარგა". მართალია, დონბასის ფრონტზე და კურსკის ოლქში წარმატება ნამდვილად არის, რაზედაც რუსეთის ლიდერმა ბევრი ილაპარაკა, მაგრამ არ უთქვამს, რომ ეს წარმატებები მას ძვირად უჯდება.

„ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის არმია წინ მიიწევს, მაგრამ მიიწევს - დიდი დანაკარგებით. დღეისათვის რუსები უფრო მეტ ზარალს განიცდიან, ვიდრე - წინა თვეებში. აშკარაა, რომ კრემლი არაფერს ერიდება რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, იმ მომენტისათვის, როცა აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, იანუგურაციის შემდეგ, იურიდიულად მიიღებს თავის უფლებამოსილებას", - ამბობს შტეფან მაისტერი.

რაც შეეხება რუსეთის არმიის ოპერაციას კურსკის ოლქში, ექსპერტის თქმით, მოსკოვი იქ შეტევებს „გადამწვარი მიწის" პრინციპით ახორციელებს - საკუთარ ქალაქებსა და სოფლებს ანადგურებს".

პუტინი რუს დაჭრილებზე და ინვალიდებზე „ზრუნავს"

ჰანს-ჰენინგ შრედერი აღნიშნავს, რომ 2024 წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა უჩვეულოდ ბევრი ისაუბრა უკრაინასთან ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობაზე და მათ მკურნალობაზე. დღემდე რუსეთის ოფიციოზი და სამთავრობო პრესა ამ პრობლემაზე არაფერს წერდა. ექსპერტმა გაიხსენა, რომ პრესკონფერენციამდე რამდენიმე კვირით ადრე ვლადიმერ პუტინი ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრს ეწვია და დაჭრილი უფეხო ჯარისკაცები მოინახულა, მათთან სამახსოვრო ფოტოსურათიც კი გადაიღო. „პუტინს ომი რომ არ დაეწყო, ყველა ჯარისკაცს ხელ-ფეხი თავის ადგილზე ექნებოდა. სწორედ ვლადიმერ პუტინი არის პასუხისმგებელი დასახიჩრებულ ჯარისკაცთა მდგომარეობის გამო, მაგრამ ეს კრემლს არ ადარდებს", - ამბობს ჰანს-ჰენინგ შრედერი.

„ვლადიმერ პუტინი", - თვლის პროფესორი, - "პრესკონფერენციაზე ცდილობდა, რომ ერთი მხრივ, დემონსტრირება მოეხდინა იმისა, თუ როგორ ზრუნავს რუსული სახელმწიფო და პირადად თვითონ საკუთარ ჯარისკაცებზე და მეორე მხრივ - ცდილობდა, დაერწმუნებინა რუსული საზოგადოება, რომ ომი რიგითი მოქალაქეების მდგომარეობაზე ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს. თუმცა ინფლაციის დონე ისეთია, რომ რუსები უკვე გრძნობენ მის უარყოფით შედეგებს".

კრემლი დონალდ ტრამპის მოლოდინში

შტეფან მაისტერმა, კომენტარი გაუკეთა რა ვლადიმერ პუტინის განცხადებას მისი მზადყოფნის თაობაზე, სამშვიდობო მოლაპარაკებისა და კომპრომისებისათვის, აღნიშნა, რომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება რუსეთის პრეზიდენტის პოზიციებში არ მომხდარა. „უკრაინა, რუსეთის ლიდერის აზრით, უნდა იყოს ნეიტრალური, არ უნდა გახდეს ნატოს წევრი ანუ კიევს უსაფრთხოების გარანტიები არ უნდა ჰქონდეს და განიარაღდეს. კრემლის ბინადარი ამ თავის თვალსაზრისს მუდმივად იმეორებს და, როგორც ჩანს, იგი თავის მაქსიმალისტურ პოზიციაზე დარჩება. მოსკოვის პირობები უკრაინისათვის მიუღებელია, რადგან ეს ნიშნავს სუვერენიტეტის და თავდაცვის უფლების წართმევას", - აცხადებს ექსპერტი.

შეტეფან მაისტერის აზრით, ამავე ჩარჩოში ჯდება ვლადიმერ პუტინის განცხადებები ფრონტზე არსებული წარმატების შესახებ და მისი შეთავაზება, გაიმართოს „დუელი" რუსულ რაკეტა „ორეშნიკსა" და დასავლურ ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს შორის, აგრეთვე, მისი მსჯელობა ბირთვულ დოქტრინაზე. „ეს არის რუსეთის მომზადება დონალდ ტრამპის თეთრ სახლში დაბრუნებისათვის", - ამბობს ექსპერტი.

„ვლადიმერ პუტინის მთელი პოლიტიკა დონალდ ტრამპის ირგვლივ ბრუნავს, რადგან მოსალოდნელია აშშ-ის მიდგომების შეცვლა უკრაინისა და რუსეთის მიმართ", - თვლის შტეფან მაისტერი, - "დონალდ ტრამპის გეგმები შეიძლება რუსეთისათვის სასარგებლო აღმოჩნდეს, თუ თეთრი სახლი უკრაინაზე ზეწოლას მოახდენს და მას მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას აიძულებს. მაგრამ შეიძლება პირიქით მოხდეს: თუ დონალდ ტრამპი მიხვდება, რომ ვლადიმერ პუტინთან დადებული გარიგება ცუდია, მას შეუძლია სიტუაციის ისეთი ესკალაცია მოახდინოს, რის გაკეთებაც ჯო ბაიდენსაც კი არ შეეძლო. ამიტომაც ამჟამად ვლადიმერ პუტინი მაქსიმალურ მოთხოვნებს აყენებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაიპყროს, მოლაპარაკების წინ თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ კრემლის მეთაურის ყველა განცხადება".

2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2024 წელს მსოფლიოში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მიმდინარეობს/და, რომლებიც გავლენას ახდენს გლობალურ პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კლიმატურ ცვლილებებზე და სოციალურ საკითხებზე. აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები 2024 წელს:

1. რუსეთ-უკრაინის ომი

ომი უკრაინაში კვლავ გრძელდება და მას გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა აქვს. უკრაინას საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს, ხოლო რუსეთი განაგრძობს სამხედრო აგრესიას. ომმა გამოიწვია მაღალი მიგრაცია და ჰუმანიტარული კრიზისების ზრდა.

2. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები

2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახლდათ. ქვეყანაში პოლიტიკურ დაყოფასა და მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა და საგარეო პოლიტიკა, კამპანიები მიმდინარეობს.

3. კლიმატური ცვლილებები და გარემოსდაცვითი ღონისძიებები

კლიმატური ცვლილებები კვლავ მთავარი პრობლემა რჩება. გაუარესებული ამინდი და ექსტრემალური მოვლენები (წყალდიდობები, ტყის ხანძრები და ქარიშხლები) გავლენას ახდენენ მსოფლიოს ქვეყნებზე. ქვეყნები ცდილობენ შეამცირონ მავნე გამონაბოლქვის ზეგავლენა და მიაღწიონ Paris Agreement-ის მიზნებს.

4. ტექნოლოგიაში წინსვლა

ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია სწრაფად ვითარდება 2024 წელს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ბიზნესსა და ჯანდაცვის სფეროებზე. ახალ ტექნოლოგიებზე, როგორიცაა გენერაციული ხელოვნური ინტელექტი (მაგალითად, ChatGPT), ხშირად ხდება საუბარი ეთიკის, სამუშაო ადგილების დაკარგვის და რეგულაციების მიმართულებით.

5. მიგრაცია და ლტოლვილების კრიზისი

პოლიტიკური არასტაბილურობა, ომები და კლიმატური ცვლილებები ბევრი ადამიანის მიგრაციას იწვევს. ამჟამად ბევრი ქვეყანას უჭირს ლტოლვილთა და მიგრანტთა მხარდაჭერა, რაც სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებს წარმოქმნის.

6. ეკონომიკური გადაშენება და ინფლაცია

მსოფლიოში ბევრი რეგიონი, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში, განიცდის ინფლაციას და ეკონომიკურ არასტაბილურობას, რაც გამოწვეულია პანდემიის შემდეგი შედეგებით და გლობალური კრიზისების გამო.

7. ჯანმრთელობის პროგრამები და პანდემიის ეფექტები

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 უკვე ნაკლებად აქტუალურია, მსოფლიო კვლავ ფოკუსირებულია ჯანმრთელობის სფეროზე. სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელება, ზრუნვა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და COVID-19-ის გრძელვადიანი შედეგების შესახებ, მნიშვნელოვანია.

8. ჩინეთის გავლენა

ჩინეთი აგრძელებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მატებას მსოფლიოში. მისი გლობალური ეკონომიკური როლი, სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხები და ტაივანთან ურთიერთობები ყურადღების ცენტრშია.

9. სოციალური სამართლიანობის მოძრაობები

სოციუმში უსამართლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ აქტუალურია. რასობრივი, გენდერული და ლგბტქ+ უფლებები რჩება მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებად.

10. კოსმოსში პროგრესი

კოსმოსური ტექნოლოგიები კვლავ ვითარდება. NASA, SpaceX, სხვადასხვა ქვეყნები და კომპანიები აგრძელებენ მთვარეზე და მარსზე მისიების დაწყებას.

ეს მხოლოდ რამდენიმე ძირითადი მოვლენა და გამოწვევაა, რომელიც 2024 წელს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს/და მთელ მსოფლიოში.

* * *

სმარტფონები ჩვენი ციფრული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი გაჯეტია - მათ ვიყენებთ კომუნიკაციისთვის, მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად, TikTok-ის ყურებისა და სხვა.

თუმცა, ბაზარზე სულ უფრო მრავალფეროვანი სმარტფონი ჩნდება. ახალი მოდელები ელვის სისწრაფით გამოდის და ადამიანების ნაწილისთვის მათი არჩევა ძნელია.

CNN შეეცადა, მკითხველისთვის ამოცანა გაეადვილებინა და 2024 წლის საუკეთესო სმარტფონები გამოავლინა. დიდი ალბათობით, სიაში შემავალი გაჯეტები 2025 წელსაც ლიდერის პოზიციას დაიკავებენ.

გამოცემამ სმარტფონები დიზაინის, ეკრანის ხარისხის, კამერის, ფუნქციების, ყოველდღიური ამოცანების შესრულების სისწრაფის, ელემენტის სიმძლავრის, დამუხტვის სიჩქარის, ხმის ფუნქციების, ფოტოების ხარისხის და ოპტიკური მახასიათებლებით შეაფასა.

შედეგად გამოვლინდა რამდენიმე სმარტფონი:

საუკეთესო სმარტფონი: Apple iPhone 16

iPhone 16 არის შესანიშნავი, სწრაფი და გამძლე ტელეფონი, რომელიც შლის ზღვარს Apple-ის სტანდარტულ და პროფესიონალ ტელეფონებს შორის.

საუკეთესო Android სმარტფონი: Samsung Galaxy S24+

Samsung Galaxy S24+ არის ახალი Android სმარტფონი, რომელიც ნამდვილად არ ჩამოუვარდება კონკურენტებს და უფრო მეტიც, ბევრი მახასიათებლით სჯობნის მათ.

ის აღჭურვილია მაღალი ხარისხის კამერებით, ულტრა მაღალი ხარისხის დისპლეით და ძლიერი ელემენტით.

საუკეთესო ბიუჯეტური სმარტფონი: Google Pixel 8a

შესანიშნავი დიზაინით, ხანგრძლივი ელემენტით, ხელოვნური ინტელექტის უამრავი ფუნქციით და კამერის უმაღლესი შესაძლებლობებით, Google Pixel 8a ნამდვილი საოცრებაა.

საუკეთესო დიდი ტელეფონი: Apple iPhone 16 Pro Max

თუ გსურთ ძალიან დიდი ეკრანი და ძალიან გამძლე ელემენტი, iPhone 16 Pro Max არის საუკეთესო ვარიანტი.

საუკეთესო დასაკეცი სმარტფონი: Samsung Galaxy Z Fold 6

Galaxy Z Fold 6-ი არის საუკეთესო დასაკეცი სმარტფონი ყველა აღნიშნული მონაცემებით.

ის შესანიშნავი არჩევანია მრავალპროფილიანი სამუშაოებისთვის.

წყარო: cnn.com

უშუს გუნდის კიდევ ერთი წარმატება

13-15 დეკემბერს დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენები საქართველოს უშუს ეროვნულ ჩემპიონატზე იმყოფებოდნენ, სადაც ჩვენი გუნდი ღირსეულად წარსდგა. 7 მონაწილიდან 4 ჩემპიონი გახდა, ხოლო 3 საპრიზო ადგილს დასჯერდა. ჩემპიონები გახდნენ: **დავით ქადაგიძე, იოსიფ ყაბანაშვილი, საბა ბუთხუზი** და **დავითი ბუაძე.**

ლუკა პოპიაშვილი ***(მწვრთნელი):*** „ქალაქ თბილისში საქართველოს უშუს 21-ე ჩემპიონატი ჩატარდა, ეს იყო წლის ბოლო, შემაჯამებელი ტურნირი. ჩვენს ბიჭებს საკმაოდ კარგი პერფორმანსები ქონდათ. ჩვენი მსოფლიო ჩემპიონი საბა ბუთხუზი ტატამზე საკმაოდ ჯენტლმენური საქციელებით გამოირჩეოდა. დავით ბუაძემ აჩვენა ძალიან ლამაზი და ტექნიკური ჩხუბი. ასევე ძალიან კარგი და ეფექტური გამარჯვებები მოიპოვეს დავით ქადაგიძემ და იოსიფ ყაბანაშვილმა. მადლობას ვუხდით ყველა გულშემატკივარს და იმ ადამიანებს ვინც გვერდში დაგვიდგნენ. “

საბა ბუთხუზი: „საქართველოს ჩემპიონატზე საფინალო ბრძოლა მქონდა ზურაბ ჯანგულაშვილთან. პირველობისთვის გამოუცდელი მებრძოლი შემხვდა. გავითვალისწინე მისი გამოუცდელობა და შევეცადე, რომ მსუბუქად მემუშავა და არანაირი ტრავმა არ აეღო. მაქსიმალურად ვეცადე, ჩემს მოწინააღმდეგეს ამ ბრძოლისგან მიეღო გამოცდილება, რადგან შეჯიბრზე პირველად გამოდიოდა და ასე ვთქვათ სპორტული სოლიდარობა გამოვუცხადე ჩემს ოპონენტს. მიუხედავად ამისა, მინდა ვთქვა, რომ მაინც გაოცებულივარ მისი მონდომებით და ბრძოლისუნარიანობით. მინდა წარმატებები ვუსურვო შემდეგ ბრძოლებში. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, შესაძლოა 2025 წელს ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატი და ევროპის პირველობისთვის დავიწყებ მზადებას. ჯერ უცნობია, რომელ ქვეყანაში, ან როდის გაიმართება ჩემპიონატი.“ ***შირაქი***

მკლავჭიდში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

8 დეკემბერს ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში გაიმართა მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის შეჯიბრი მკლავჭიდში. მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროს №1, №2, ხორნაბუჯის, ოზაანის და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა. შეჯიბრში მონაწილეობდნენ გოგონები აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. ხოლო ბიჭებში ჩატარდა შემდეგ წონით კატეგორიებში 50,55,60,65,70,75,80,85+კგ.



დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საპრიზო ადგილი დაიკავეს შემდეგ წონით კატეგორიებში. გოგონებში ორივე მკლავში გაიმარჯვა მაკა არაბულმა, მესამე ადგილი კი დაიკავა ლიზი პოპიაშვილმა.

ვაჟებს შორის 50 კგ კატეგორიაში ორივე ხელში გაიმარჯვა **საბა დოლენჯაშვილმა**. მესამე ადგილი დაიკავა **ნიკა არაბულმა**. 60 კილოგრამ კატეგორიაში, ორივე ხელში გაიმარჯვა **ნიკოლოზ არაბულმა**, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა **ლაშა სიმონიშვილმა**. 65კგ კატეგორიაში ორივე ხელში გაიმარჯვა **ლევან შეითნიშვილმა**. 85+ კგ-ში ორივე ხელში გაიმარჯვა **დავით ალადაშვილმა**, მეორე ადგილზე გავიდა **თორელ ცისკარაული**.

ამ შეჯიბრების ორგანიზატორი იყო დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი გელა დავითაშვილი და სკოლის დირექტორი ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი.

კიკბოქსინგელების ღირსეული ასპარეზობა

15 დეკემბერს ზემო ალვანში ჩატარდა ტურნირი კიკბოქსინგში (შეჯიბრის ორგანიზატორი ჯაბა თვალიაშვილი ფედერაციის პრეზიდენტი ლაშა ჭურაძე). მასში მონაწილეობდნენ კახეთის და თბილისის გუნდები.

ზემო მაჩხაანის კლუბ „ზაქების“ სპორტსმენებმა ერთმანეთზე უკეთესი ბრძოლები ჩაატარეს, 8 სპორტსმენიდან ყველამ პირველი ადგილი აიღო. მათ შორის ორ წონით კატეგორიაში იასპარეზეს გოჩა ჩუთლაშვილმა, ნიკა ჯაბაშვილმა და მარი ჯაბაშვილმა. გოჩა ჩუთლაშვილმა ლეგენდარული ბრძოლა ჩაატარა. 20 კილოგრამით მძიმე წონაში იბრძოლა და დამაჯერებელი ანგარიშით დროზე ადრე გაიმარჯვა. ჩემპიონები გახდნენ 90 კილოგრამ წონითი კატეგორიაში:

****გოჩა ჩუთლაშვილი (70კგ-90კგ);***
****ნიკა ჯაბაშვილი (75კგ-85კგ);***
****ვიტალა ცისკაძე 50 კგ;***
****ზურა ძნელაშვილი 46 კგ;***
****რატი დაუთაშვილი 38კგ;***
****ლუკა მექერიშვილი 65კგ;***
****საბა ნატროშვილი 36კგ;***
****მარი ჯაბაშვილი 54კგ-58კგ;***

მწვრთნელი: გენადი ნატროშვილი

სეზონური აფექტური აშლილობა

რა არის სეზონური აფექტური აშლილობა

სეზონური აფექტური აშლილობა არის დეპრესიის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც თავს წელიწადის გარკვეულ დროებში იჩენს - უფრო ხშირად ზამთარში და შემოდგომაზე.

მიიჩნევა, რომ მოკლე დღეები და ნაკლები დღის სინათლე შესაძლოა ხელს უწყობდეს დეპრესიის გამომწვევ ქიმიურ ცვლილებებს თავის ტვინში. სინათლის თერაპია და ანტიდეპრესანტები ეხმარება SAD-ის განკურნებას.

რისკ ჯგუფი:

SAD-ი ჩვეულებრივ ზრდასრულობისას იწყება და ასაკის მატებასთან ერთად იზრდება რისკებიც. იშვითად გვხვდება 20-წლამდე ასაკის კატეგორიაში. ქალებში მეტად გავრცელებულია, ვიდრე კაცებში.

გამომწვევი მიზეზები:

მიიჩნევა, რომ ნაკლები მზის სინათლე და მოკლე დღეები დაკავშირებულია თავის ტვინში მიმდინარე ქიმიურ ცვლილებებთან, ეს კი შესაძლოა იყოს SAD-ის გამომწვევი მიზეზი.

მელატონინი, ძილთან დაკავშირებული ჰორმონი, ასევე დაკავშირებულია SAD-თან. ჩვენი სხეული სიბნელეში ბუნებრივად გამოიმუშავებს მელატონინს, ამიტომ პატარა დღეები და ნაკლები სინათლე განაპირობებს მეტი მელატონინის გამოყოფას.

არსებობს 2 ტიპის სეზონური აფექტური აშლილობა:

შემოდგომაზე დაწყებული - იგივე „ზამთრის დეპრესია“. დეპრესიის სიმპტომები იწყება გვიანი შემოდგომიდან ადრეული ზამთრის პერიოდამდე და მდგომარეობა უმჯობესდება ზაფხულის თვეებში.

გაზაფხულზე დაწყებული - იგივე „ზაფხულის დეპრესია“. დეპრესიის სიმპტომები იწყება გვიანი გაზაფხულიდან ადრეული ზაფხულის პერიოდამდე. ეს ტიპი ნაკლებად გავრცელებულია.

SAD-ის გავრცელებული სიმპტომებია

მოჟანგული ძილიანობა

ინტერესის და სიამოვნების დაკარგვა იმ საქმიანობის მიმართ, რომელიც წარსულში სიამოვნების მომტანი იყო

სოციალური იზოლაცია და მომატებული მგრძნობელობა უარყოფის მიმართ

გაღიზიანებადობა და შფოთვა

დანაშაულის და უიმედობის განცდა

დაღლილობა ან ენერგიის დაბალი დონე

დაქვეითებული ლიბიდო

კონცენტრაციის და ყურადღების დაქვეითება

გაფანტულობა

მომატებული მადა, განსაკუთრებით ტკბილეულის და ნახშირწყლების მოთხოვნილება

მომატებული წონა

სომატური გართულებები, მაგალითად თავის ტკივილი

სიმპტომები შესაძლოა დაბრუნდეს და შემდეგ გაუმჯობესდეს წელიწადის ერთი და იგივე დროს.

SAD-ის სიმპტომები შესაძლოა მაინიშნებდეს სხვა მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. დიაგნოსტირებისთვის აუცილებლად მიმართეთ შესაბამის სპეციალისტს.

SAD-ის მკურნალობა

„ზამთრის დეპრესიის“ და „ზაფხულის დეპრესიის“ მკურნალობის გზები ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება და შეიძლება მოიცავდეს ჩამოთვლილთაგან რომელიმეს ან ერთად კომბინაციაში.

მზის აბაზანები. ღია სივრცეში დროის გატარება დაგეხმარებათ სიმპტომების შემსუბუქებაში.

სინათლის თერაპია. თუ დღის შუქზე დროის ხანგრძლივად გატარება შეუძლებელია, სპეციალური შუქის ზემოქმედება, დღეში გარკვეული დროის მანძილზე, შეიძლება დაგეხმაროთ.

ფსიქოთერაპია. ფსიქოთერაპია დაგეხმარებათ შეცვალოთ საკუთარი თავისა და გარემოს მიმართ არსებული დამახინჯებული წარმოდგენები. თერაპია საშუალებას მოგცემთ გააუმჯობესოთ ინტერპერსონალური ურთიერთობების უნარები, გაიგოთ სტრესის გამომწვევი მიზეზები და ისწავლოთ მათი მართვა.

ანტიდეპრესანტები. თავის ტვინში არსებული ქიმიური დისბალანსის , რამაც შეესაძლოა გამოიწვიოს შAD, აღდგენაში ასევე შეიძლება დაგეხმაროთ რეცეპტით გაცემული მედიკამენტები.

SAD-ის სიმპტომების შესამსუბუქებლად

მიიღეთ დახმარება. თუ ფიქრობთ, რომ დეპრესიაში ხართ, რაც შეიძლება მალე მიმართეთ შესაბამის სპეციალისტს.

დაისახეთ რეალისტური მიზნები დეპრესიის ფონზე. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ძალიან ბევრს, დიდი ამოცანები დაყავით პატარებად, დაადგინეთ პრიორიტეტები და გააკეთეთ რაც შეგიძლიათ და როგორც შეგიძლიათ.

შეეცადეთ გაატაროთ დრო სხვა ადამიანებთან ერთად. როგორც წესი ეს უკეთესია, ვიდრე განცალკევებულად ყოფნა.

აკეთეთ ის, რაც თავს უკეთ გაგრძნობინებთ. კინოთეატრში წასვლა, მებაღეობა ან სხვა რაიმე სოციალურ აქტივობებში ჩართვა შესაძლოა დაგეხმაროთ. სხვა ადამიანისთვის სასიამოვნო რამის გაკეთება, ასევე დაგეხმარებათ უკეთ იგრძნოთ თავი.

ივარჯიშეთ რეგულარულად.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი განწყობა ნელ-ნელა გაუმჯობესდება და არა მაშინვე. გამოჯანმრთელებას დრო სჭირდება.

მიიღეთ ჯანსაღი და დაბალანსებული საკვები.

მოერიდეთ ალკოჰოლს და ნარკოტიკებს. ამან შესაძლოა გაართულოს თქვენი მდგომარეობა.

გადადეთ დიდი გადაწყვეტილებები, დეპრესიის შემსუბუქებამდე. სანამ გადაწყვეტთ მნიშვნელოვან ცვლილებას, გაიხილეთ ეს იმ ადამიანებთან ერთად, ვინც კარგად გიცნობთ და უფრო ობიექტური შეხედულება აქვთ თქვენს მდგომარეობაზე.

დაიმახსოვრეთ: ადამიანები იშვიათად „გამოდიან“ სწრაფად დეპრესიიდან. მაგრამ, მათ შეუძლიათ თავი იგრძნონ უკეთესად დღითი დღე.

ეცადეთ კონცენტრირდეთ გამოჯანმრთელებაზე და იფიქროთ დადებითზე. ეს შეიძლება დაგეხმაროთ ნეგატიური ფიქრების შეცვლაში, რომელიც დეპრესიის ნაწილია. გახსოვდეთ, რომ უარყოფითი აზრები მკურნალობასთან ერთად გაქრება.

მიეცით უფლება ოჯახის წევრებს და მეგობრებს დაგეხმარონ.

საკვანძო საკითხები

SAD-ი დეპრესიის ისეთი ფორმაა, რომელიც გარკვეულ სეზონებზე იჩენს თავს, ყველაზე ხშირად შემოდგომაზე და ზამთარში

არ არსებობს SAD-ის გამომწვევი დაზუსტებული მიზეზი. მიიჩნევა, რომ ნაკლები მზის სინათლე და მოკლე დღეები დაკავშირებულია თავის ტვინში მიმდინარე ქიმიურ ცვლილებებთან, ეს კი შესაძლოა იყოს SAD-ის გამომწვევი მიზეზი.

მელატონინი, ძილთან დაკავშირებული ჰორმონი, ასევე შესაძლოა დაკავშირებული იყოს SAD-თან.

ზოგადად, თითქმის ყველას, ვისაც აქვს დეპრესია, ახასიათებთ სევდიანობა, ასევე უმწეობის და უიმედობის განცდა გაღიზიანებადობასთან ერთად.

SAD-ის დიაგნოსტირება ხდება მხოლოდ ფსიქიატრის მიერ დეტალური ინტერვიუირების საფუძველზე.

დეპრესია ყველაზე ხშირად იკურნება სინათლის თერაპიის, ფსიქოთერაპიის ან ანტიდეპრესანტების საშუალებით.

არქიმანდრიტმა ონოფრემ ეპარქია დატოვა

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში მოღვაწე ერთადერთმა არქიმანდრიტმა გასულ კვირას დედოფლისწყარო დატოვა. ამიერიდან არქიმანდრიტი ონოფრე წულაძე დედაქალაქში იმსახურებს.

არქიმანდრიტი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ცვლილება მეუფის კურთხევით განხორციელდა და ამჯერად ის თბილისში, საპატრიარქოსთან არსებულ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

ბოლო ხანს არქიმანდრიტი ონოფრე წულაძე ქ. დედოფლისწყაროში ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლში მსახურობდა, მანამდე კი ელია თეზბიტელის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. მან დედოფლისწყაროში დაახლოებით 14 წელი გაატარა და მრევლის სიყვარული დაიმსახურა.

სასულიერო იერარქიის მიხედვით, დეკანოზის ხარისხის შემდეგ არქიმანდრიტი ყველაზე მაღალი ხარისხია და შემდეგი ნაბიჯი ეპისკოპოსობაა. ***შირაქი***

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სკოლის დირექტორს დალი ელისაშვილს ძმის,

მერაბ ელისაშვილის

გარდაცვალების გამო.

რას ველოდოთ 2025 წლისგან?

როგორი იქნება და რას მოგვიტანს მწვანე ხის გველის წელი. აღმოსავლური კალენდრით ჩინური ახალი წელი 2025 წლის 29 იანვარს დადგება და 2026 წლის 16 თებერვლამდე გასტანს. მისი წინა მეფობა 2013 წელს იყო, ხოლო შემდეგი მეფობა 2037 წელს იქნება. გველის წელის დადგომამდე სასურველია, მოიცილოთ ყველაფერი ძველი, დაზიანებული და არაფრისმომცემი. ეს ეხება ნივთებსაც, ადამიანებსაც და საქმეებსაც.

გველი აღმოსავლური ზოდიაქოს ყველაზე იდუმალი არსებაა. ზოდიაქოს სხვა ნიშნებს შორის გამოირჩევა გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობებით. არ ცნობს ავტორიტეტებს, ამიტომ ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი აზრით. გველები სასიამოვნო მოსაუბრეები არიან, თუმცა ლაპარაკზე მეტად მოსმენა ურჩევნიათ.

2025 წლის ელემენტია ხე, არა შემოდგომის, რომელსაც ფოთლები სცვივა და კვდება, არამედ გაზაფხულის ხე, ახალგაზრდა და მწვანე. ასეთი მახასიათებლები მიუთითებს, რომ წელი ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნება, წარმატებით განხორციელდება ახალი საქმეები, ძველების დასასრულებლად კი მისასალმებელია ახალი იდეები და შემოქმედებითი მიდგომა.

ყოველ წელს ველოდებით, რომ მსოფლიოში მშვიდობა დამყარდება გველს არ უყვარს უეცარი ცვლილებები, ამიტომ სიტუაცია მსოფლიოში - როგორც უკეთესობისკენ, ისე უარესისკენ - 2025 წელს არ შეიცვლება. თუმცა, თუ სამშვიდობო შეთანხმებები 2024 წელს გაფორმდება, გველის წელში ისინი არ დაირღვევა და მშვიდი დრო გველოდება.

გველი ორიენტირებულია ახალი ცოდნის შეძენასა და მის გამოყენებაზე. ამიტომ ტექნოლოგიური პროგრესი 2025 წელს არ გაჩერდება. მისი განვითარება ძირითადად ხელოვნურ ინტელექტთან იქნება დაკავშირებული: გაგრძელდება პროცესების ავტომატიზაცია, შეიცვლება ტრანსპორტის მუშაობა და ჯანდაცვის სისტემა, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. გაჩნდება განახლებადი ენერგიის ახალი წყაროები, მოიძებნება გზები გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და პანდემია, რაც ასევე აისახება ჩვენი ცხოვრების ხარისხზე.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გველი არ არის კოლექტიური არსება, ამიტომ მომავალ წელს პროფესიულ წარმატებას ძირითადად ისინი მიაღწევენ, ვინც მარტო იმუშავებს. რა თქმა უნდა, დახმარებაზე უარი არ უნდა თქვათ, მაგრამ გამარჯვება მარტოხელა გენიოსებს ეკუთვნით, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდეთ და არავისთან მოუწევთ თავიანთი დიდების გაზიარება.

გველის წელში არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა ძველი სამუშაოს შეცვლა უფრო საინტერესო, კრეატიულ და ფინანსურად მომგებიანზე. კარიერაში უნდა ვისწრაფოდეთ მარტივიდან რთულისკენ. ყოველი ახალი დავალება უფრო რთული და პერსპექტიული უნდა იყოს, ვიდრე წინა. თქვენს საქმიანობაში უნდა აჩვენოთ ისეთი თვისებები, როგორიცაა გამჭრიახობა და მოაგვაროთ ყველა საკითხი გააზრებულად და აუჩქარებლად. ასევე მნიშვნელოვანია პიროვნული ზრდისა და პროფესიული თვითგანვითარებისთვის პრაქტიკულობა და ეფექტურობისკენ მუდმივი სწრაფვა.

თუმცა, გველის წელში საჭიროა არა მხოლოდ იმუშაოთ, არამედ სრულად დაისვენოთ, დასვენების გარეშე, ვერ შეძლებთ ძალების აღდგენას ახალი წარმატებებისთვის. აუცილებელია შაბათ-კვირის კარგად გამოყენება, დროულად დაძინება და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი დაავადების პრევენცია ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე შემდგომი მკურნალობა.

გველები შერჩევით არიან ურთიერთობებში: მათ მარტოობა ურჩევნიათ სხვებთან ურთიერთობას; განსაკუთრებით, თუ ის ადამიანი მათი ინტელექტუალური დონის არაა. სანამ გველის მეგობარი გახდებით, შემოწმება უნდა გაიაროთ და მხოლოდ ამის შემდეგ შემოგიშვებთ თავიანთ წრეში. გველები იშვიათად ამხელენ თავიანთ საიდუმლოებებს, თუნდაც ახლო მეგობართან, ურჩევნიათ მის პრობლემებზე საუბარი ან აბსტრაქტულ თემებზე.

ჩინური კალენდრის მიხედვით გველი კარგ ურთიერთობაშია დრაკონთან და მამალთან და დაძაბული ურთიერთობა აქვს ვეფხვთან, კურდღელთან და თხასთან. სხვათა შორის, ეს ეხება არა მხოლოდ მეგობრულ ურთიერთობებს, არამედ რომანტიკულ კავშირსაც. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ ვერ შეძლებთ საერთო ენის პოვნას წლის მმართველთან. მთავარია არ მოატყუოთ იგი: გველი არ გაპატიებთ არც ბოროტებას და არც ღალატს.

დედოფლისწყაროს მთავარი ნაძვის ხე აინთო

17 დეკემბერს, ბარბარობას ქალაქ დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტის მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო. ღონისძიებაში ადგილობრივი შემსრულებლები და შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ.

კულტურის ცენტრის ეზოში დედოფლისწყაროს მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოქალაქეებთან ერთად აანთო.

30 დეკემბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში ქართული ესტრადის წარმომადგენლების მონაწილეობით საახალწლო ღონისძიება გაიმართება.

ულოცავენ!

ნანა აფციაურს!

ჩვენო ნანიკო, თბილო, ტკბილო, სიკეთით სავსე, უაღრესად ყურადღებიანო და უანგარო ადამიანო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს 26 დეკემბერს.

მუდამ გვახსოვს შენს გვერდით გატარებული ლამაზი წლები. გვიყვარხარ, გეფერებით, მრავალჟამიერ!

პატივისცემით, **შენი ყოფილი თანამშრომლები**

როგორ მოვემზადოთ ახალი წლისთვის

პირველ რიგში, დაალაგეთ სახლი და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, გადაყარეთ ყველა უსარგებლო ნივთი, ძველმანი, გატეხილი სათამაშო, ჭურჭელი, გაფუჭებული ტექნიკა, ყველა ქაღალდი და ქვითარი, რომლებიც უკვე აღარ გჭირდებათ და ამ მაკულატურით გაივსო თქვენი კარადის თაროები. ასევე გაასუფთავეთ კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის მეხსიერება — ამოშალეთ, რაც აღარ გჭირდებათ.

თუ გაქვთ ნივთები, რომლებიც აღარ გჭირდებათ, მაგალითად, ტანსაცმელი, დაურიგეთ გაჭირვებულებს. ამით გაათავისუფლებთ გზას პოზიტიური ენერგიისთვის. ცნობილია, რომ ძველი ნივთები ცხოვრებისეულ ძალებს შთანთქავს.

ეცადეთ, სახლში, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვს, არ ჩამოუშვათ ფარდები, შემოუშვით მეტი სინათლე, მზის სხივები — ამით ოჯახში აღმშენებლობის ენერგიას შემოიტანთ. თუ თქვენს სახლს დამატებითი ენერგეტიკა სჭირდება, ნაუცბათევი კოსმეტიკური რემონტი შეგიძლიათ ჩაატაროთ — შეღებეთ კედლები, გამოცვალეთ ფარდები, ჟალუზები.

ამასთან, უნდა მოაწესრიგოთ არა მარტო სახლი, არამედ გონებაც. ამისთვის კარგია, თუ პატიებას სთხოვთ იმ ადამიანებს, ვისაც აწყენინეთ, ასევე, აპატიებთ მათ, ვინც თქვენ გაწყენინათ, შეურიგდებით ახლობლებს და გონებიდან ნეგატიურ აზრებს განდევნით. ყველას ბედნიერება და ჯანმრთელობა უსურვეთ და ეს პოზიტიური ფიქრები აზრობრივად კოსმოსში გაგზავნეთ.

თუ ოჯახში ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება გსურთ, მორთული ნაძვის ხე სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უნდა დადგათ; თუ ახლობლებთან შერიგება, მათი განწყობის მოპოვება და ოჯახში ჰარმონია — აღმოსავლეთ ნაწილში; თუ თქვენი მიზანია საზოგადოებრივი აღიარება და დიდება — სამხრეთით, ეს გაზრდის თქვენს შემოქმედებით პოტენციალს. თუ ბავშვზე ოცნებობთ, შეარჩიეთ სახლის დასავლეთი კუთხე, ხოლო ჯანმრთელობის მოსაზიდად — სახლის ცენტრი.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.12	სამშაბათი 24.12	ოთხშაბათი 25.12	ხუთშაბათი 26.12	პარასკევი 27.12	შაბათი 28.12	კვირა 29.12
დღე	10°	10°	9°	9°	7°	9°	8°
ღამე	4°	5°	4°	3°	2°	3°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი